პასუხები შენიშვნებზე და ხარვეზებზე

შენიშვნა:

01.წარმოდგენილი საპროექტო შენობა არ გავს ნომენკლატურით მოთხოვნილ ფუნქციას,საჭიროა დაკორექტირდეს და მოვიდეს შესაბამისობაში ოფისის ფუნქციასთან.

პასუხი:

01. საპროექტო შენობის სიმაღლე და ღია სივრცე გამოწვეულია საინფორმაციო ცენტრის სპეციფიუროებიდან. შენობის „4“ და „7“ ღერძებზე და „ბ“ და „გ“ ღერძებს შორის უნდა მოეწყოს ორი საინფორმაციო პანელი LED მონიტორებით 6.40მეტრის სიმაღლეზე იატაკის დონიდან. მონიტორების ზომები 4მეტრიX2მეტრზეა. საინფორმაციო მონიტორები მიმართული იქნება 2 ან 4 მხარეს, გამომდინარე საინფორმაციო ცენტრის დატვირთვისა. შენობის საპროექტო სიმაღლე განპირობებულია საინფორმაციო მონიტორების სრულად აღქმის აუცილებლობით, რომლისთვისც საჭიროა როგორც სიმაღლე და მანძილი, ასევე სივრცე. საინფორმაციო მონიტორები აუცილებელია საინფორმაციო ცენტრის გამართული ფუნქციონირებისათვის და სამუშაო პროცესის გასაუმჯობესებლად. (იხ. გეგმა და ჭრილები).

დამატებით გაცნობებთ გამოვლენილ ხარვეზებს:
ხარვეზი 01’

- საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმისpdf ფაილი.: .საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. ->გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.:
- გენ.გეგმაზედაიტანეთ სიმაღლის ნიშნულები ყველა განსხვავებულ დონეზე.
- ვინაიდან ეწყობა საყრდენი კედლები წარმოადგინეთ განშლა და მოცულობის ანგარიში,მიანიჭეთ კლასი და მიუთითეთ გენ.გეგმაზე. კლასის შესაბამისად საჭიროა გადახდილიქნას მოსაკრებელი.
-

პასუხი:

- **გამოვლენილი ხარვეზის შესაბამისად გენგეგმაზე დამატებით დატანილი იქნა სიმაღლის ნიშნულები;**
- **ეწყობა მხოლოდ ერთი საყრდენი კედელი კახეთისგზატკეცილის მხარეს. გენგეგმაზე მითითებულია საყრდენი კედლის გაბარიტები და კლასი II. გეგმების და ჭრილის გრაფაში ნაჩვენებია საყრდენი კედლის განშლა, მოცულობის ანგარიშის ფორმულა, მოცულობა და განსაზღვრულია კლასი II. ვინაიდან გადახდილი გვაქვს მოსაკრებელი შეცდომით მეტობი განაშენიანების ფართობით 1057X4=4228 ლარი (გადახდის ქვითარი თანდართულია), რეალურად საანგარიშო ფართობი არის კ2 = 895კვ.მ - შესაბამისად 895 X 4 = 3580 ლარი. მეტობით გადახდილი გვაქვს 4228 – 3580 = 640 ლარი. აქედან გამომდინარე საყრდენი კედლი რომელიც წარმოადგენს II კლას (მოცულობით 34.4მ^3) და მოსაკრებლის ოდენობით 50 ლარი - ჩვენ გადასახდელი აღარ გვაქვს.**

ხარვეზი 02.
.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. ->

.გეგმების pdf ფაილი.:

- გეგმებზე დაიტანეთ სქ დაკავებულობის შესაბამისი დაშტრიხვა.
- სამშენებლო მიწის ნაკვეთის შემოღობვა დასაშვებია არაუმეტეს 2,2 მეტრი სიმაღლის ღობით, ამასთან ღობის ყრუ ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს გრუნტის ზედაპირიდან 1,8მეტრს, დაკორექტირდეს საპროექტო ღობე შესაბამისად.

პასუხი:

- **გეგმაზე დატანილია სქ დაკავებულობის შესაბამისი შტრიხი.**

საქმიანი ჯგუფიფერის კოდი (RGB79,12,187); დაშტრიხვა ANS/31, ხაზის სისქე 0.05მმ;

- **შენიშვნის შესაბამისად დაკორექტირდა ღობის სიმაღლე 2 მეტრი გასწორდა 1.8 მეტრით.**

ხარვეზი 03.

- დეკლარაციის პირველი გვერდი წარმოდგენილ იქნას დასკანერებული სახით, (სადაცმითითებულია ვალიდურობის ლინკი და შემსრულებელი) შესაბამისი უფლებამოსილიპირის მიერ ხელმოწერილი. აქვე გაითვალისწინეთ, რომ დეკლარაციის ვალიდურობისლინკი სამსახურის მიერ უნდა ინდენთიფიცირდებოდეს (ინიშნებოდეს) მარტივად.
- ასევე წარმოადგენილ იქნას კედლებისა და სახურავის ფრაგმენტის ჭრილი,ენერგოეფექტურობის დეკლარაციის შესაბამისად, დეტალური შრეების ჩვენებითა დაექსპლიკაციის მითითბით.

პასუხი:

- **ხარვეზის შესაბამისად აიტვირთა დეკლარაციის დასკანერებული პირველი გვერდი ხელმოწერით.**
- **გეგმის და ჭრილის ფაილებში ატვირთულია ხარვეზის შესაბამისად კედლებისა და სახურავის ფრაგმენტის ჭრილები ენერგოეფექტურობის დეკლარაციის შესაბამისად. ყველა შრისა და სპეციფიკაციის მითითებით.**

შენიშვნა 04.

- სამსახურმა გაგიწიათ შუამდგომლობა და საკითხი განსახილველად გადაგზავნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში (წერილისნომერი: N: N:60-01240613941), ვინაიდან ამ დროისთვის საკითხი შესწავლის პროცესშია,შესაბამისად პასუხი გეცნობებათ კვლევის დასრულების შემდგომ, ხოლო აღნიშნულიდოკუმენტი გადმოგეგზავნებათ დანართის სახით.

პასუხი:

- **მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის შენიშვნების შესაბამისად დაკორექტირდა დენდროლოგიური პროექტი და დენდროლოგიური ბანერი. გიგზავნით დაკორექტირებულ პროექტს.**

ხარვეზი 05.

- საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. :

- წარმოადგინეთ საპროექტო შენობის კ1 კ2 კროკები და წარმოადგინეთ კ-3 კოეფიციენტისკროკი.
- ველებში მიეთითოს არსებული და საპრეოქტო კროკების ჯამი ცალცალკე და ერთად.
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-5 მუხლისთანახმად: სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებსშორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორისარსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არიანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებულიღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბედა მისი ბაქანი). მათი არსებობის შემთხვევაში, სამყოფების ფართობში შედის ლოჯიის,აივნის, ტერასისა და ვერანდის ფართობები. საჭიროა მოხდეს ზემოაღნიშნული წესისმიხედვით წარმოდგენილ პროექტში ფართების დაანგარიშება, და გეგმებზეწარმოდგენილ ექსპლიკაციებსა და ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში ფართობებისდაკორექტირება შესაბამისად.

პასუხი:

- **გეგმების გრაფაში ხარვეზის შესაბამისად ატვირთულიაკ1, კ2 და კ3-ის კოეფიციენტის კროკები;**
- **ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ველში დაკორექტირდა წარმოდგენილი ფართობები საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად.**

ხარვეზი 06.

- მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.:
- მშენებლობის რიგითობის, ეტაპების და მათიხანგრძლივობის აღწერა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად იქნას წარმოდგენილი.

პასუხი:

- **დაკორექტირდა მშენებლობის ორგანიზაციის ტექსტური ნაწილი და გრაფიკი საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად;**

ხარვეზი 07.

- შესაბამის ველში ატვირთეთ კონსტრუქციული დასკვნა მომიჯნავე შენობების (მომიჯნავე საკადასტრო ერთეულ(ებ)ის და მისამართის დაფიქსირებით) არსებულ ტექნიკურ მდგომარეობასა და საპროექტო შენობის მშენებლობის პროცესში მათზე__ზეგავლენის შესახებ, პასუხისმგებელი პირის მიერ ხელისმოწერით დადასტურებული და შეავსეთ ექსპერტის მონაცემები;იმ შემთხვევაში, თუ დასკვნაში მოთხოვნილი იქნება რაიმე სახის გამაგრებითისამუშაოების ჩატარება მშენებლობის პროცესში, დამატებით წარმოდგენილ იქნასგამაგრების პროექტი და კალენდარულ გრაფიკში ეტაპის სახით ასახული გამაგრებითი სამუშაოები;
- გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ გამაგრება შეეხება მომიჯნავე შენობებს საჭიროა,

დამატებით ატვირთულ იქნას მათი მესაკუთრეების შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე.

პასუხი:

- **საპროექტო შენობას მომიჯნავე ნაკვეთებზე შენობები არ ესაზღვრება, ნაკვეთებზე ს/კ01.19.21.001.400, ს/კ 01.19.21.001.458, ს/კ 01.19.21.001.130, ს/კ 01.19.21.001.132 არსებული ან მშენებარე შენობა-ნაგებობები არ ფიქსირდება. ხოლო ნაკვეთი ს/კ 01.19.21.001.002 საპროექტო შენობიდან თითქმის 150 მეტრით არის მოშორებული. საპროექტო ტერიტორიაზე ს/კ 01.19.21.001.214 საპროექტო შენობიდან 11.30მეტრში მდებარეობს ასევე ერთსართულიანი შენობა „მართვის ცენტრი“ იგივე გაბარიტების (სიმაღლით და სიგანით), რკინის კონსტრუქციის და საძირკვლის სიღრმის ერთსართულიანი შენობა. კონსტრუქტორის დასკვნა მოცემულია საპროექტო შენობის მშენებლობის პროცესშიმომიჯნავე შენობებზე ზეგავლენის შესახებ.**

ხარვეზი 08.

- გეოლოგიური კვლევის საექსპერტო დასკვნას აკლია ექსპერტის ციფრული ხელმოწერა. Adobe-ს პროგრამა აჩვენებს, რომ ციფრული ხელმოწერის ადგილი ცარიელია.

პასუხი:

- **დაემატა ექსპერტის ციფრული ხელმოწერა;**

ხარვეზი 09.

- წარმოდგენილი იქნას მიწის ნაკვეთის მოიჯარის მიერ გაცემული, სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა.

პასუხი:

- **წარმოდგენილია მოიჯარე ორგანიზაციის შ.პ.ს „ფარმაცევტული სახლი +“-ის ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე;**

ხარვეზი 10.

- მიმდებარედ ფიქსირდება საქართველოს რკინიგზის საკუთრებაში არსებული ხაზოვანი, წარმოადგინეთ მესაკუთრის თანხმობა, წარმოდგენილი განაცხადით პროექტისშეთანხმების თაობაზე.

პასუხი:

- **წარმოდგენილია ს/კ 01.19.21.001.400 საქართველოს რკინიგზის თანხმობა ს/კ 01.19.21.001.214 მიწის ნაკვეთზე საინფორმაციო ცენტრის მშენებლობის თაობაზე.**

პატივისცემით, არქიტექტორი ირაკლი გამყრელიძე